ბიზნეს სიახლეები

2025 წლის მესამე კვარტალში გამოქვეყნებული სიახლეები

საგადასახადო სიახლეები

გამოქვეყნდა ახალი საჯარო გადაწყვეტილება

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ მიღებულ იქნა №194 საჯარო გადაწყვეტილება. საჯარო გადაწყვეტილებით განიმარტა დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხები. კერძოდ, დარეგულირდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის გამოყენების პირობები და აღნიშნული ოპერაციის დღგ-ით დასაბეგრი თანხისა და დაბეგვრის მომენტის განსაზღვრის წესი.

შეგახსენებთ, რომ საკუთარი წარმოების შენობად/ნაგებობად განიხილება პირის მიერ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობის/ნაგებობის მშენებლობა საკუთარი ძალებით ან/და სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების შეძენის გზით.

საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, ზემოაღნიშნული მუხლი ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც ერთდროულად სახეზეა შემდეგი სამი პირობა:

- შენობა/ნაგებობა წარმოებულია დასაბეგრი პირის მიერ, რაც გულისხმობს იმას, რომ მშენებლობა განხორციელებულია დასაბეგრი პირის მიერ საკუთარი ძალებით ან/და სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების შეძენის გზით, მისსავე საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე;
- დასაბეგრმა პირმა ფაქტობრივად დაიწყო საკუთარი წარმოების შენობის/ნაგებობის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება, მისი დანიშნულების შესაბამისად;
- დასაბეგრი პირი სრულად ვერ მიიღებდა დღგ-ის ჩათვლას შენობის/ნაგებობის სხვა დასაბეგრი პირისგან შეძენის შემთხვევაში (როდესაც შენობა/ნაგებობა გამოიყენება ისეთ ოპერაციებში, რომელთა განხორციელების მიზნით გაწეულ ხარჯებზე გადახდილი/გადასახდელი დღგ-ის სრულად ჩათვლის უფლება დასაბეგრ პირს არ წარმოეშობა).

რაც შეეხება ოპერაციის დღგ-ით დასაბეგრ თანხასა და დაბეგვრის დროს, საჯარო გადაწყვეტილებამ განმარტა, რომ მოცემულ თანხაში მხოლოდ იმ საქონლის/მომსახურების ღირებულება უნდა იქნეს შეტანილი, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება მშენებლობის ხარჯებს და მასში არ გაითვალისწინება მიწის ღირებულება, რომელზეც მიმდინარეობს მშენებლობა. ამასთან, აღნიშნული ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრა უნდა მოხდეს შენობის/ნაგებობის დანიშნულების შესაბამისად ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დაწყების მომენტში.

ნორმატიული აქტი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №194

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 22 ივლისი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/1a4fe14e-72c8-4789-8404-60d30820d4bd?openFromSearch=true

ამოქმედდა საგადასახადო შეღავათები ინოვაციური კომპანიებისთვის

2025 წლის 24 სექტემბრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში ამოქმედდა მუხლი, რომლითაც განისაზღვრა ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის, კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის სტატუსის მქონე პირებისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების სამართლებრივი საფუძვლები.

აღნიშნული სტატუსების მქონე პირები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, რომლებიც ოპერირებენ ინოვაციურ დარგებში. მათი მხარდაჭერის მიზნით „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში განისაზღვრა შემდეგი საგადასახადო შეღავათები:

ინოვაციური სტარტაპი - პირველი სამი წლის განმავლობაში ინოვაციური სტარტაპის მიერ გაცემული ხელფასი საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდება. მეოთხე წლიდან მომდევნო 3 წლის განმავლობაში გაცემული ხელფასი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით და ამავე პერიოდში მოგების გადასახადის განაკვეთიც იქნება 5%. მეშვიდე წლიდან მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გაცემული ხელფასისთვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი იქნება 10%, ამავე პერიოდში მოგების გადასახადის განაკვეთიც იქნება 10%.

ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანია - ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანია უფლებამოსილი იქნება წინა ფინანსურ წელს დაგროვილი წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემთხვევაში მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით შეიმციროს მის მიერ წინა ფინანსურ წელს კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯების სამმაგი ოდენობით.

კვლევებისა და განვითარების გამწევი კომპანია - კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მიერ შესაბამისი სტატუსის მოქმედების პერიოდში გაცემული ხელფასი საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით დაბეგვრას დაექვემდებარება. ამასთან, კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთი იქნება 5%.

„ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილდებდნენ კომპანიები ზემოაღნიშნული სტატუსების მოსაპოვებლად. სტატუსების მოპოვების წესები დამატებით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის N424 დადგენილებით.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი/“ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 24 სექტემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/0dc11927-5eb5-4863-9f2b-4ba04c78e7b2
https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/a41cde33-7aed-4cfc-bfa9-42cf8eed4af6

ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭება საერთაშორისო კომპანიის და ვირტუალური ზონის პირის სტატუსების მქონე პირებისთვის სტატუსის გაუქმებას გამოიწვევს

2025 წლის 24 სექტემბრიდან საერთაშორისო კომპანიის და ვირტუალური ზონის პირის სტატუსების მქონე პირებისთვის ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭება გამოიწვევს საერთაშორისო კომპანიისა და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის გაუქმებას. საერთაშორისო კომპანიის სტატუსი პირს გაუუქმდება ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ხოლო, ვირტუალური ზონის პირის სტატუსი პირს გაუუქმდება ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭების დღიდან.

ნორმატიული აქტი: „საერთაშორისო კომპანიის სტატუსის განსაზღვრის, მისთვის ნებადართული საქმიანობისა და ცალკეული ხარჯების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №619 დადგენილება/„ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №49 დადგენილება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 24 სექტემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/756915d9-2b40-4ed3-bb50-da087996df5a
https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/4c979843-0895-4067-bc0f-dd03d5acef99

დამტკიცდა ახალი მეთოდური მითითება

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა მეთოდური მითითება „საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტის გაუქმების შესახებ“.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული წესის თანახმად გადამხდელს გაუუქმდება საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50%-ი, თუ იგი საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში გადაიხდის საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებულ გადასახადის სრულ თანხასა და ჯარიმის 50%-ს.

მეთოდური მითითებით დარეგულირდა გადასახადებისა და ჯარიმის 50 პროცენტის ტოლფასი თანხების გადახდის წესები, შემთხვევები, რომლებზეც ვრცელდება/არ ვრცელდება ჯარიმების გაუქმების ზემოაღნიშნული წესი, აგრეთვე საგადასახადო შემოწმების ფარგლებში დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტის გაუქმების მიზნით შესაბამისი განცხადების განხილვისა და დასკვნის გამოცემის მეთოდოლოგია.

მეთოდური მითითებით განისაზღვრა, რომ ჯარიმების გაუქმების მოცემული წესი ვრცელდება შემდეგ შემთხვევებშიც:
- როდესაც პირს საგადასახადო მოთხოვნით არ ერიცხება გადასახადი;
- როდესაც პირს საგადასახადო მოთხოვნით ერიცხება მათ შორის მოსაკრებელიც;
- როდესაც პირს საგადასახადო მოთხოვნით ერიცხება მათ შორის მიმდინარე გადასახდელები;

ასევე განიმარტა, რომ ჯარიმების გაუქმების მოცემული წესი არ ვრცელდება:
- კორექტირებული საგადასახადო მოთხოვნის მიმართ;
- იმ საგადასახადო მოთხოვნის მიმართ, რომელიც მოიცავს სსკ-ის 280 ან/და 282 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ჯარიმის თანხებს.

განიმარტა, რომ აღნიშნული წესით სარგებლობის მიზნით გადამხდელმა ელექტრონული ვებგვერდის საშუალებით საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს განცხადებები „საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტის გაუქმების შესახებ“ და „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ“ და ასევე თანხების გადახდის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები.

ნორმატიული აქტი: შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №20688 „საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტის გაუქმების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 სექტემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/c5013897-2acf-48e5-821d-45c44752e59c

ამოქმედდა ავანსის ანგარიშ-ფაქტურის განაშთვის ახალი წესი

2025 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა დამატებული ღირებულების გადასახადში ავანსების განაშთვის ახალი წესი.

კერძოდ, აღნიშნული პერიოდიდან ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შემცირებას ექვემდებარება მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხული დღგ-ის თანხა, აისახება უშუალოდ საქონლის მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში და აღარ მოხდება მათი ასახვა დღგ-ის დეკლარაციის შესაბამის დანართში. აღნიშნული წესით მოხდება იმ ავანსის ანგარიშ-ფაქტურების განაშთვა, რომლებიც გამოწერილია 2025 წლის 1 სექტემბრის შემდგომ.

რაც შეეხება 2025 წლის 1 სექტემბრამდე გამოწერილ ავანსის ანგარიშ-ფაქტურებს, მათი განაშთვა მოხდება 1 სექტემბრამდე არსებული წესით.

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 1 სექტემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/03c3612b-1070-4fa5-9cfc-e572bede2833?openFromSearch=true

ECOVIS®

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

! ცვლილებები შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, უკანონო მიგრაციის გამოსავლენი ღონისძიებების ჭრილში

ცვლილების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენის ან/და უცხოელის საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის გადამოწმების ან მისი სამგზავრო დოკუმენტის მოძიების მიზნით, შეამოწმოს უცხოელის საცხოვრებელი/სამუშაო ადგილი ან სხვა კერძო საკუთრება/მფლობელობა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე. კერძო საკუთრების თანამესაკუთრის/თანამფლობელის ან სამუშაო ადგილზე დამსაქმებლის თანხმობა, საკმარისია შემოწმების რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩასატარებლად.

თუ არსებობს შემოწმების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს უცხოელის მიმალვა ან/და მისი სამგზავრო დოკუმენტის განადგურება ან გადამალვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, დაიწყოს უცხოელის საცხოვრებელი/სამუშაო ადგილის ან სხვა კერძო საკუთრების/მფლობელობის შემოწმება და 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა.

ნორმატიული აქტი: „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 2 ივლისი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6565611?publication=0

! ცვლილებები შევიდა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და განისაზღვრა ინოვაციური სტარტაპის ცნება

ცვლილების მიხედვით, ინოვაციური სტარტაპი არის ინოვაციური საქმიანობის განმახორციელებელი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც აკმაყოფილებს ინოვაციური სტარტაპის სტატუსის მინიჭებისთვის ამ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ინოვაციური სტარტაპის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იმ სუბიექტს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) იგი ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, შეიმუშავებს ინოვაციურ პროცესს ან/და ეწევა ინოვაციურ მომსახურებას;

ბ) მან აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განაცხადის წარდგენამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში საინვესტიციო ფონდისგან, ანგელოზ ინვესტორთა ქსელისგან ან ამ ქსელის წევრისგან ან/და აქსელერატორისგან მოიპოვა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია ან სააგენტოსგან მოიპოვა არანაკლებ 150 000 ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება.

გ) იგი აღნიშნული სტატუსის მოპოვების მიზნით ახორციელებს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მექანიზმების მიერ დაფინანსებულ, ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, ამასთანავე, მის მიერ მიღებული შემოსავალი და გაწეული ხარჯები არსებითად ამ საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

დ) მას აღნიშნული სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენიდან სტატუსის მინიჭების მომენტისთვის არ აქვს საგადასახადო დავალიანება, იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და ის არ იმყოფება ლიკვიდაციის პროცესში.

ნორმატიული აქტი: „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6531883?publication=0

! ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრა სასამართლოში აუდიო/ ვიდეო ჩაწერაზე უფლებამოსილი პირი

ცვლილებების მიხედვით, სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სასამართლო სხდომის დარბაზში, სასამართლოს ეზოში) ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება, ტრანსლაცია და აუდიოჩაწერა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი ახორციელებს. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს თავის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლოში ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა, აგრეთვე ტრანსლაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებით.

ნორმატიული აქტი: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 2 ივლისი

წყარო: http://matsne.gov.ge/ka/document/view/6557897?publication=0

! ცვლილებები შევიდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში და განისაზღვრა გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა

უკანონო ქმედებით გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 40 000 ლარიდან 80 000 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით.

გარემოსთვის განსაკუთრებით საშიში საქმიანობის განხორციელების ფარგლებში გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება – გამოიწვევს საქმიანობის განმახორციელებელი პირის დაჯარიმებას 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე, სამართალდარღვევის იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ და სამართალდარღვევის ობიექტის კონფისკაციით.

სამართალდამრღვევს ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

ნორმატიული აქტი: „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 ივნისი

წყარო: https://matsne.gov.ge/document/view/6536271?publication=0

საკონტაქტო ინფორმაცია

აფაქიძის ქ.5, ტიფლის ბიზნეს
ცენტრის მე-11 სართული, თბილისი

+995 032 243 22 81
tbilisi@ecovis.ge
www.ecovis.ge